სააპელაციო საბჭო

27/08/2025

MES 9 25 0001037394

გადაწყვეტილება

"შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2025 წლის 17 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს საქართველოს უნივერსიტეტის 2025 წლის 01 აგვისტოს №3482 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №941524, 01/08/2025) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილების მიმართ. სააპელაციო საჩივარი ეხება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში "შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების მიზნით.
2025 წლის 21 აგვისტოს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^1 - ე მუხლის პირველი და 28^3 მ უხლით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. განსახილველად იქნას მიღებული "შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ტრადიციული მუსიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 01 ივლისის №795973 გადაწყვეტილებაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის 01 აგვისტოს №3482 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №941524, 01/08/2025).
2. სააპელაციო საბჭოს 2025 წლის 27 აგვისტოს №1034866 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ელექტრონულად
ფაქტობრივად
ეროვნული